ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №661731

ნომერი: AR1126166

თარიღი : 22.04.2013

გაცემის თარიღი : 26.04.2013

გაცნობის თარიღი : 23.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ ბერბერაშვილი პ/ნ 01024010601
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 11 ბ. 89

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის24 მარტის#398 სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 22 აპრილს #AR1126166 განცხადებით მომართა „შპს ემემჯი–2008“–ის დირექტორმა აბესალომ ბერბერაშვილმა და მოთხოვა სამსახურის 2010 წლის 24 მარტის #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად გამოიკვლია სამიქსათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 24.03.2010წ. #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები დადგენილ იქნა ქ. თბილისში, რაფიელ აგლაძის ქ. #47–ში მდებარე 10285 კვ.მ. მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.05.003.036) საზოგადოებრივი დანიშნულების (დამხმარე) ობიექტის ასაშენებლად. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის (საჯარო რეესტრის ამონაწერის #882013077618; მომზადების თარიღი: 28/02/2013წ.საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013065374; მომზადების თარიღი: 21.02.13; საკადასტრო კოდი: 01.13.05.003.072) თანახმად ირკვევა რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შედგენს 2734 კვ.მ.-ს ახალი საკადასტრო კოდით #01.13.05.003.072.

2010 წლის 24 მარტის #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში არაერთხელ იქნა შეტანილი ცვლილება მიწის ნაკვეთის ფართობთან დაკავშირებით. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის შემცირებასა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 2734 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.13.05.003.072;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საჯარო რეესტრის ამონაწერის #882013077618; მომზადების თარიღი: 28/02/2013წ.საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის #882013065374; მომზადების თარიღი: 21.02.13; საკადასტრო კოდი: 01.13.05.003.072);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: „ განხორციელებული ცვლილების შესაბამისად მოხდეს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირება“;
4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 24 მარტის #398 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.